



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

2019 წლის 13 მარტი

ქ. თბილისი

დისციპლინური საქმე №93/18-1

მოსამართლე -- -- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2018 წლის 26 მარტისა და 2018 წლის 02 აპრილის №--, №-- საჩივრების საფუძველზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ, მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება.

-- -- 2018 წლის 11 აპრილის №103 საჩივრის საფუძველზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ, მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილებით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁹ მუხლის შესაბამისად, ზემოაღნიშნული დისციპლინური საჩივრები (რეგისტრაციის №--, №-- და №--), მოსამართლე -- -- მიმართ, გაერთიანდა ერთ წარმოებად და დისციპლინურ საქმეს მიენიჭა №--.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 01 ოქტომბრის №93/18 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 13 მარტის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

-- სააპელაციო სასამართლოს წარმოებაში იმყოფებოდა სს საქმე -- -- და -- -- მიმართ. აღნიშნულთან დაკავშირებით, წარმოდგენილ საჩივრებში მითითებულია შემდეგ ფაქტებზე:

1.1. მოსამართლე -- -- წარმოებაში სს საქმე იმყოფებოდა წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში. ამასთან, სასამართლო განხილვა არ იყო საჯარო.

1.2. სააპელაციო პალატამ უსაფუძვლოდ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობები: სახელმწიფო ბრალმდებელთა აცილებაზე, დაცვის მხარის ადვოკატის შეცვლაზე, ახალი მტკიცებულებების წარდგენასა და მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის თაობაზე. სასამართლომ ასევე არ უზრუნველყო მტკიცებულებათა გამოკვლევა.

1.3. სასამართლომ არ გაიზიარა დაცვის მხარის ის მტკიცებულებები, რაც მსჯავრდებულთა უდანაშაულობას ადასტურებდა. ასევე, საქმის გარემოებათა არასწორად შეფასების შედეგად, დაადგინა უკანონო, დაუსაბუთებელი განაჩენი. აღნიშნულის გამო, საჩივრის ავტორები მიიჩნევენ, რომ სასამართლო იყო მიკერძოებული და არაობიექტური.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. -- საქალაქო სასამართლოს (მოსამართლე-- --) 2015 წლის 30 ივლისის განაჩენით:

-- -- ცნობილია დამნაშავედ: საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა 7 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა; საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა 10 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ, -- -- სასჯელად განესაზღვრა 10 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა. -- -- სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო 2014 წლის 02 დეკემბრიდან.

-- -- ცნობილია დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა 6 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულ -- -- სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო 2014 წლის 02 დეკემბრიდან.

2.2.1. -- სააპელაციო სასამართლოში, სს საქმე -- -- და -- -- მიმართ, სააპელაციო წესით განსახილველად რეგისტრირებულია 2015 წლის 24 სექტემბერს. -- სააპელაციო სასამართლოს (მოსამართლეები:-- --, -- --, -- --) 2015 წლის 31 სექტემბრის განჩინებით, სააპელაციო საჩივრები ცნობილია დასაშვებად.

2015 წლის 24 სექტემბრიდან - 2016 წლის 28 აპრილამდე, საქმე იმყოფებოდა მოსამართლე -- -- წარმოებაში. საქმეზე დაინიშნა 8 სასამართლო სხდომა.

2.2.2. მოსამართლე -- -- სამოსამართლო უფლებამოსილების ამოწურვის გამო, 2016 წლის 06 მაისს, საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --. 2016 წლის 06 მაისიდან - 2017 წლის 21 სექტემბრამდე, საქმე იმყოფებოდა მოსამართლე -- -- წარმოებაში. საქმეზე დაინიშნა 3 სასამართლო სხდომა.

2.2.3. მოსამართლე -- -- სამოსამართლო უფლებამოსილების ამოწურვის გამო, 2016 წლის 21 სექტემბერს, საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --. საქმეზე დაინიშნა 15 სასამართლო სხდომა.

-- სააპელაციო სასამართლოს (მოსამართლეები:-- --, -- --, -- --) 2017 წლის 26 სექტემბრის განაჩენით, მსჯავრდებულების: -- --, -- -- და მათი ინტერესების დამცველი ადვოკატების სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა -- საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 30 ივლისის განაჩენი.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მიეცეს მოცემულ საქმეზე ფაქტობრივ გარემოებებს და დადგინდეს კონკრეტული ფაქტები, შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

3.1. მომჩივანთა განმარტებით, მოსამართლე -- -- მიერ საქმის წარმოების პერიოდში, ადგილი ჰქონდა სასამართლოს მხრიდან სს საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებას.

-- -- და -- -- მიმართ სს საქმის მასალების თანახმად:

- -- სააპელაციო სასამართლოში, სს საქმე სააპელაციო წესით განსახილველად რეგისტრირებულია 2015 წლის 24 სექტემბერს.

- -- სააპელაციო სასამართლოს (მოსამართლეები:-- --, -- --, -- --) 2015 წლის 31 სექტემბრის განჩინებით, სააპელაციო საჩივრები ცნობილია დასაშვებად.

- საქმის სააპელაციო განხილვა დასრულდა -- სააპელაციო სასამართლოს (მოსამართლეები:-- --, -- --, -- --) 2017 წლის 26 სექტემბრის განაჩენით.

- 24.09.15-26.09.17 პერიოდში, სხვადასხვა დროს საქმე იმყოფებოდა რამდენიმე მოსამართლის წარმოებაში (მოსამართლე-- -- შემთხვევაში - 21.09.16 – 26.09.17 პერიოდში).

ამდენად, საქმე საერთო ჯამში -- სააპელაციო სასამართლოს წარმოებაში იმყოფებოდა 2 წლის განმავლობაში, რაც ერთმნიშვნელოვნად ხანგრძლივი პერიოდით საქმის განხილვის შემთხვევაზე მიუთითებს. პარალელურად ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სამართალწარმოების ხანგრძლივობა შეიძლება განაპირობოს სხვადასხვა გარემოებებმა. შესაბამისად, სამართალწარმოების გაჭიანურება ყოველთვის არ გულისხმობს, რომ იგი მოსამართლეს უნდა შეერაცხოს ბრალად.

საფუძვლიანი შეფასების მიზნებისათვის, იმისათვის, რომ დადგინდეს საქმე იყო თუ არა გაჭიანურებული უსაფუძვლოდ, მოსამართლის პერსონალური ბრალეულობით, საკითხი უნდა შეფასდეს კომპლექსურად, შემდეგ ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებათა გათვალისწინებით:

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის ფარგლებში აღიარებულია, გონივრულ ვადაში საქმის სასამართლო განხილვის უფლება. დანაწესი მიზნად ისახავს იმის უზრუნველყოფას, რომ ბრალდებულ პირებს არ მოუწიოთ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბრალდებულის სტატუსში ყოფნა და ბრალეულობის საკითხზე გადაწყვეტილება დროულად იქნას მიღებული (*Wemhoff v Germany*, § 18; *Kart v. Turkey*[GC], § 68).

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრეცედენტული პრაქტიკის თანახმად, სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობა განისაზღვრება შემდეგ გარემოებათა გათვალისწინებით: 1) საქმის სირთულით, როგორც საქმის ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი კუთხით (*Katte Klitsche de la Grande v. Italy*; *Papachelas v. Greece*); მტკიცებულებების გამოკვლევის მოცულობით (*Human v. Poland*) და ა.შ. 2) მხარეთა მოქმედებებით, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (*König v. Germany*), შუამდგომლობებით, რაც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (*Acquaviva v. France*), ასევე სხვა მოქმედებებით, რაც იწვევს საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას; 3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებებით. აღნიშნულს ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობასთან მიმართებით (*Pafitis and others v. Greece*; *Tiece v. San Marino*; *Sürmeli v. Germany*).

მაგალითისთვის, საქმეში *Union Alimentaria Sanders S.A. v. Spain* სასამართლომ განაცხადა, რომ განმცხადებლის ვალდებულებას წარმოადგენს მცდელობისა და სურვილის გამომჟღავნება, გაიაროს შესაბამისი საპროცესო ეტაპები, თავი შეიკავოს გამაჭიანურებელი ტაქტიკის არჩევისაგან, სრულად გამოიყენოს და იმოქმედოს იმ ფარგლებში, რაც მას მინიჭებული აქვს კანონმდებლობის თანახმად, სამართალწარმოების შემოკლებისათვის. ასევე, როდესაც ევროპული სასამართლო განიხილავს საქმეებს სამართალწარმოების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, სასამართლო ეხება მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელების პრინციპს, რომლის თანახმადაც ეროვნული სასამართლოები ვალდებულნი არიან სათანადოდ განიხილონ მათ წინაშე წარმოდგენილი

საქმეები. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლოა აუცილებელი გახდეს სასამართლო სამართალწარმოების გადადება გარკვეული მიზეზების, მტკიცებულების მოპოვების გამო (Boddaert v. Belgium).

შიდაკანონმდებლობის დონეზეც, სისხლის სამართლის პროცესში აღიარებულია სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპი და დარეგულირებულია ასევე, საქმის განხილვის საპროცესო ვადებიც.

საქართველოს სსსკ-ის 295-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გამოაქვს სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 2 თვის ვადაში. ამასთან აღსანიშნავია, რომ საპროცესო კანონი საქმის განხილვის ვადის დინების შეწყვეტაში, საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევას მოიაზრებს, თუმცა, დისციპლინური სამართალწარმოების მიზნებისათვის, ვადის შეწყვეტის საფუძვლად ასევე განიხილება კონკრეტული მოსამართლიდან, სხვა მოსამართლისათვის საქმის გადაცემის პირობაც.

ამდენად, დისციპლინური საქმის წარმოების პროცესში საქმის განხილვის გაჭიანურების საკითხი თითოეული მოსამართლის შემთხვევაში უნდა შეფასდეს დამოუკიდებლად, კონკრეტული მოსამართლის პერსონალური, ინდივიდუალური ბრალეულობის პრინციპის გათვალისწინებით. ამასთან, ვინაიდან კონკრეტულ შემთხვევაში მომჩივანთა პრეტენზია წარმოდგენილია მოსამართლე -- -- მიმართებით, საკითხზე მსჯელობისას გათვალისწინებული იქნება მხოლოდ საქმის მის წარმოებაში არსებული პერიოდი და საქმის გარემოებები.

მოსამართლე -- -- მიმართებით:

- საქმე მოსამართლის წარმოებაში იმყოფებოდა 2016 წლის 21 სექტემბრიდან - 2017 წლის 26 სექტემბრამდე, 1 წლის განმავლობაში.
- საქმეზე დაინიშნა 15 სასამართლო სხდომა. სასამართლო სხდომები ინიშნებოდა როგორც წესი ყოველთვიურად, უმეტესწილად თვეში ორჯერ.
- სასამართლო სხდომები ბრალდების მხარის მიზეზით გადაიღო 2 შემთხვევაში (გამოუცხადებლობა; 21.12.16; 08.02.16). სხდომებზე გამოუცხადებლობის თაობაზე, მოსამართლის თანაშემწის 2017 წლის 08 თებერვლის მიმართებით, შემდგომი რეაგირების მიზნით, ეცნობა საქართველოს მთავარ პროკურატურას. ამასთან, 2017 წლის 08 თებერვლის სხდომასთან დაკავშირებით, საქმეში წარმოდგენილია პროკურორ -- -- განცხადება, გამოუცხადებლობის თაობაზე (-- საქალაქო სასამართლოს წარმოებაში არსებული სხვა სს საქმის განხილვაში პროკურორის მონაწილეობა).
- მოსამართლის საქმეთა დატვირთვა: 2016 წელს მოსამართლეს წარმოებაში ჰქონდა 224 სს საქმე, საიდანაც განიხილა 145 სს საქმე; 2017 წელს მოსამართლეს წარმოებაში ჰქონდა 228 სს საქმე, საიდანაც განიხილა 215 სს საქმე;

ამდენად, არსებულ მოცემულობაში სს საქმე მოსამართლე -- -- წარმოებაში იმყოფებოდა 1 წელი, რაც ზოგადად ხანგრძლივ პერიოდს წარმოადგენს საქმის სააპელაციო განხილვისთვის და მიუთითებს დადგენილი 2 თვიანი საპროცესო ვადის დარღვევის შემთხვევაზე, თუმცა როგორც საქმის მასალების გამოკვლევის შედეგები აჩვენებს, საპროცესო ვადის დარღვევა განაპირობა მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელების აუცილებლობამ. კერძოდ, სადავო პერიოდში საქმეზე დანიშნულია 15 სასამართლო სხდომა, რაც მოსამართლის დატვირთვისა და სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობით საქმის განხილვის პირობებში, ობიექტურად შეუძლებელია განხორციელდეს დადგენილ 2 თვიან ვადაში.

საქმის უსაფუძვლო გაჭიანურების საკითხი ასევე მნიშვნელოვანია შემოწმდეს კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული „გონივრული ვადის“ სტანდარტის მიხედვითაც, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად.

საქმის გამოკვლევის შედეგების თანახმად, 15 სხდომის შემთხვევაში, ბრალდების მხარის გამოუცხადებლობის გამო სხდომა გადაიდო ორჯერ. ერთ შემთხვევაში წარმოდგენილია განცხადება, საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობაზე. ასევე, ორივე შემთხვევაში გამოუცხადებლობის თაობაზე, საქართველოს სსსკ-ის 190-ე მუხლის შესაბამისად, ეცნობა საქართველოს მთავარ პროკურატურას. შესაბამისად, გამოირიცხება ვარაუდი - სასამართლოს უმოქმედობაზე.

ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სასამართლო სხდომები საქმეზე ინიშნებოდა ყოველთვიურად, უმეტესწილად თვეში ორჯერ. შესაბამისად, არც სასამართლოს მიერ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში საპროცესო მოქმედებათა განუხორციელებლობის შემთხვევა დასტურდება. აღნიშნული საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურებაში, მოსამართლის ბრალეულად ცნობის მნიშვნელოვანი კრიტერიუმია.

ამასთან, სასამართლოს ბრალეულობად ვერ შეფასდება ის საკითხიც, რომ მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელების ვალდებულებიდან გამომდინარე, ხანგრძლივი დრო დაეთმო საქმის განხილვას. აღსანიშნავია, რომ დაცვის მხარის ინტერესების გათვალისწინებით, მათი უფლებების უკეთ რეალიზების მიზნით, სასამართლოს 5 სხდომა დაეთმო დაცვის მხარის შესავალი სიტყვის ეტაპს. ასევე, ვინაიდან მსჯავრდებულებმა არ იცოდნენ ქართული ენა, საქმის განხილვა მიმდინარეობდა თარჯიმანთა მონაწილეობით, რაც ტექნიკური თვალსაზრისით თავისთავად ახანგრძლივებდა საქმის განხილვის პერიოდს. ზოგადად, პროცესის იმ ვადით დაყოვნება, რაც საჭიროა დაცვის ეფექტურად განხორციელებისთვის, შეიძლება გამართლებული იქნას გამონაკლის შემთხვევებში¹. კონკრეტულ მოცემულობაში დაცვის მხარის ქმედებამ, რაც თავის

¹ იხ. KHARITONASHVILI v. GEORGIA; IMMOBILIARE SAFFI v. ITALY;

მხრივ, დაცვის ინტერესებით იყო განპირობებული და მნიშვნელოვან აუცილებლობას წარმოადგენდა მათთვის, გარკვეული დროით საქმის განხილვის გაჭიანურება გამოიწვია.

ამდენად, მოცემულ გარემოებათა შეფასების შედეგად, სასამართლოს მხრიდან საქმის განხილვის უსაფუძვლოდ გაჭიანურების ფაქტი და მასში მოსამართლე -- -- ბრალეულობა, არ დასტურდება.

რაც შეეხება მომჩივნის პრეტენზიას, სასამართლო პროცესების დახურვასთან დაკავშირებით, უსაფუძვლობის გამო, ვერ იქნება გაზიარებული, ვინაიდან, საქმის განხილვა მიმდინარეობდა ღია სასამართლო სხდომაზე.

3.2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „გ“ პუნქტის შესაბამისად, სააპელაციო წესით საქმის განხილვისას დასაშვებია მხოლოდ სააპელაციო სასამართლოში წარმოდგენილი ახალი მტკიცებულების გამოკვლევა, ხოლო, პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოკვლეული ყველა მტკიცებულება მიიჩნევა გამოკვლეულად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მტკიცებულება გამოკვლეულ იქნა კანონის არსებითი დარღვევით და მხარე აყენებს შუამდგომლობას ამგვარი მტკიცებულების ხელახლა გამოკვლევის თაობაზე; ამავე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილებით ახალი მტკიცებულება შესაძლოა გამოკვლეულ იქნეს სააპელაციო სასამართლოში, თუ შუამდგომლობის ავტორი დაასაბუთებს, რომ იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი პოზიციის დასაბუთებლად და პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას მისი წარმოდგენა ობიექტურად შეუძლებელი იყო;

საქმის მასალების თანახმად, საქმის სააპელაციო წესით განხილვისას დაცვის მხარის მიერ წარდგენილია:

- შუამდგომლობა, სახელმწიფო ბრალმძებელთა აცილების თაობაზე. შუამდგომლობაში დაცვის მხარე მიუთითებდა პროკურორთა არაობიექტურობაზე და აღნიშნავდა, რომ მათ არ უზრუნველყვეს მსჯავრდებულ პირთა გამამართლებელ მტკიცებულებათა მოპოვება. სასამართლომ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და განმარტა, რომ გამოძიება მართალია ხორციელდება ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად, თუმცა, მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით. შესაბამისად, დაცვის მხარეც უფლებამოსილი იყო პირადად წარედგინა მტკიცებულებები სასამართლოსთვის. რაც შეეხება გამოძიების სრულად წარმოების საკითხს, მოცემულზე სასამართლო იმსჯელებდა შემაჯამებელ გადაწყვეტილებაში, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად.

- შუამდგომლობა, დამცველის აცილების თაობაზე (სავალდებულო დაცვის შემთხვევა). შუამდგომლობაში მსჯავრდებული მიუთითებდა, რომ მისთვის ადვოკატს საქმის მასალები არ ჰქონდა გადაცემული. სასამართლომ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და განმარტა, რომ სახეზე არ იყო საქართველოს სსსკ-ის მე-60 მუხლით გათვალისწინებული საფუძველი დამცველის

აცილებათ, რომელიც სავალდებულო წესით მონაწილეობდა საქმის განხილვაში. ამასთან, საქმის მასალების გადაცემასთან დაკავშირებით, დამცველს დამატებით ეთხოვა საქმის მასალების მსჯავრდებულისთვის გადაცემა. ასევე, სასამართლომ გადადო სხდომა და განუმარტა მსჯავრდებულს უფლება - შეთანხმების საფუძველზე სხვა ადვოკატის მოწვევაზე.

- შუამდგომლობები, საქმის სააპელაციო განხილვის ეტაპზე ახალი მტკიცებულებების (საბანკო-ანალიტიკური ექსპერტიზის დასკვნის, -- -- მიერ 2 ტომად წარმოდგენილი მასალების - შუამდგომლობების, განცხადებების, ანგარიშების და ა.შ.) წარდგენაზე. სასამართლომ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა, ვინაიდან მიიჩნია, რომ იგი არ აკმაყოფილებდა საქართველოს სსსკ-ის 297-ე მუხლის „გ“ პუნქტის მოთხოვნებს.

- შუამდგომლობა, მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის თაობაზე, იმ საფუძველით, რომ მათი მოპოვების დროს დარღვეული იყო საპროცესო მოთხოვნები. სასამართლომ წარდგენილი ფორმით შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და განმარტა, რომ სააპელაციო ინსტანციის სასამართლო უკვე დაშვებულ მტკიცებულებათა დაუშვებლობაზე, არსებულ მოცემულობაში ვერ იმსჯელებდა, ვინაიდან, აღნიშნული პირველი ინსტანციის სასამართლოს (წინასასამართლო სხდომა) განხილვის საგანი იყო. თუმცა, მტკიცებულებათა მოპოვების დროს დაშვებულ საპროცესო წესის დარღვევის საკითხს, ასეთის არსებობის შემთხვევაში, სასამართლო შეაფასებდა შემაჯამებელ გადაწყვეტილებაში.

მოცემულთან დაკავშირებით საჩივრის ავტორები განმარტავენ, რომ სააპელაციო პალატამ უსაფუძვლოდ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის არცერთი ზემოაღნიშნული შუამდგომლობა.

სადავო საკითხის შეფასებისას მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილდეს სასამართლოს იმ მოტივაციაზე, თუ რა სამართლებრივ საფუძველებზე დაყრდნობით ეთქვა უარი დაცვის მხარეს შუამდგომლობათა დაკმაყოფილებაზე. ირკვევა, რომ ყველა მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს დასკვნები გამომდინარეობს გარემოებათა შინაგანი რწმენით შეფასებებიდან. აღნიშნულის გამოკი, დაუშვებელია მათ კანონიერებისა და დასაბუთებულობის საკითხზე მსჯელობა, დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში. კერძოდ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის დანაწესის თანახმად, სასამართლო დასკვნის კანონიერება, ვინაიდან მას საფუძველად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში ვერ შემოწმდება.

რაც შეეხება საქმის სააპელაციო წარმოების ეტაპზე, მტკიცებულებათა გამოკვლევის საკითხს, აღნიშნულთან ასევე არ დასტურდება მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობის ფაქტი. კერძოდ, საქართველოს სსსკ-ის 297-ე მუხლის „გ“ პუნქტის დანაწესის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოკვლეული ყველა მტკიცებულება მიიჩნევა გამოკვლეულად, გარდა საგამონაკლისო შემთხვევებისა, რასაც არსებულ მოცემულობაში ადგილი არ ჰქონია.

3.3. საჩივრის ავტორები ექვს ქვეშ აყენებენ სასამართლოს გადაწყვეტილებათა კანონიერებას, მტკიცებულებათა არასწორად შეფასების საფუძველით, თუმცა, მოცემული საკითხი დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში დაუშვებელია შემოწმდეს, შემდეგ სამართლებრივ გარემოებათა გამო:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ მტკიცებულებათა შეფასება, მათ შორის მათი რელევანტურობის განსაზღვრა, არის ეროვნული სასამართლოების პრეროგატივა (Barberia, Messegue, jabardo v. Spain).

საქართველოს სსსკ-ის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის თვალსაზრისით. ამავ მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა.

აღსანიშნავია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში საკითხზე მსჯელობა მოითხოვს მტკიცებულებათა რელევანტურობის, უტყუარობის კუთხით, სასამართლოს შინაგანი რწმენის საფუძველზე მიღებული სამართლებრივი დასკვნების შემოწმების აუცილებლობას. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად კი, ამგვარ სასამართლო აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა დაუშვებელია განხორციელდეს დისციპლინური სამართალწარმოების პროცესში.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძველები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ (მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება) და „დ“ (საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება) გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2019 წლის 13 მარტის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე საკითხის განხილვაში მონაწილე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 13 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

დისციპლინურ საქმეზე №93/18-1 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი